

(19) ინტელექტუალური
საკუთრების
ეროვნული ცენტრი
“საქპატენტი”



(11) **GE P 1999 1688 B**

(51)⁶ A61K 35/64

(12) **ბამოზონეზაზე პატენტის აღწერილობა**

(21) A 1998 002999

(22) 1998 02 17

(24) 1998 02 17

(45) 1999 05 05 № 6

(76) ქეთევან ბარამიძე GE
380048 თბილისი, ბაქრაძის ქ. 16
ნუგზარ ქავთარაძე GE
380048 თბილისი, ბაქრაძის ქ. 16
ბიძინა ჭუმბურიძე GE
380094 თბილისი,
კუტუხოვის ქ. 13

(56) ИБРАГИМОВА В., ТОЧЕЧНЫЙ
МАССАЖ, М., МЕДИЦИНА, 1984,
С. 49

(54) შაქრიანი დიაბეტის მეურნალობის ხერხი

(57) 1. ტექნიკური შედეგი

მეურნალობის ეფექტურობის გაზრდა.

2. არსი

კუჭქვეშა ჯირკვლის მერიდიანის აქტიური წერტილების მასაჟის დროს ერთ-ერთ წერტილში, მასაჟთან ერთად, შეაზეღენ ფუტკრის შხამის 0,0007-0,0013 %-იან ზეთიან ხსნარს.

3. გამოყენების სფერო

მედიცინა, ენდოკრინოლოგია

გამოგონებაზე პატენტის აღწერილობა

გამოგონება განეკუთვნება მედიცინას, კერძოდ ენდოკრინოლოგიას და ეხება შაქრიანი დიაბეტის მკურნალობის ხერხს.

ცნობილია შაქრიანი დიაბეტის მკურნალობა კუჭქვეშა ჯირკვლის მერიდიანის აქტიური წერტილების მასაჟით.

აღნიშნული ხერხის ნაკლია ის, რომ მისი გამოყენებისას ადგილი აქვს სისხლში გლუკოზის დონის მცირე და ხანმოკლე შემცირებას, რის გამოც ხერხმა ვერ პოვა ფართო გამოყენება კლინიკებში.

გამოგონების ტექნიკური შედეგია მკურნალობის ეფექტურობის გაზრდა.

გამოგონების არსია ის, რომ ატარებენ კუჭქვეშა ჯირკვლის მერიდიანის აქტიური წერტილების მასაჟს, ამასთან ერთ-ერთ წერტილში, მასაჟის დროს შეაზღვევენ ფუტკრის შხამის 0,0007-0,0013%-იან ზეთიან ხსნარს.

ხერხი ხორციელდება შემდეგნაირად: შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ადამიანს უტარებენ კუჭქვეშა ჯირკვლის მერიდიანის აქტიური წერტილების ბრუნვით მასაჟს. ამავე დროს წერტილში R_1 ან R_2 2-3 წუთის განმავლობაში შეაზღვევენ 1-2 წვეთ ფუტკრის შხამის 0,0007-0,0013%-იან ზეთიან ხსნარს. აღნიშნულ პროცედურას ატარებენ ყოველდღე დღეში ერთხელ.

ხერხის განხორციელების კონკრეტული მაგალითები:

მაგ. 1. ავადმყ. უ.ნ., დიაგნოზი: შაქრიანი დიაბეტი. გლუკოზა სისხლში – 250 მგ%. უკეთდებოდა ინსულინის ინექციები დოზით 80 ერთ.დღეში. დაეწყო მკურნალობა ექიმის მეთვალყურეობით ჩვენს მიერ შემოთავაზებული ხერხით. მკურნალობის განმავლობაში ხდებოდა ინსულინის დოზის თანდათანობითი შემცირება. მკურნალობის 45 დღის შემდეგ ინსულინის ინექცია მოეხსნა. ავადმყოფი მკურნალობას იტარებს მხოლოდ აღნიშნული ხერხით 3 წელი და 7 თვე. ამ პერიოდის მანძილზე გლუკოზის დონე სისხლში მერყეობს 80-115 მგ%-ის ფარგლებში.

მაგ. 2. ავადმყ. ს.რ., დიაგნოზი: შაქრიანი დიაბეტი. გლუკოზა სისხლში – 270 მგ%. უკეთდებოდა ინსულინის ინექციები დოზით 85 ერთ.დღეში. დაეწყო მკურნალობა ექიმის მეთვალყურეობით ჩვენს მიერ შემოთავაზებული ხერხით. მკურნალობის განმავლობაში ხდებოდა ინსულინის დოზის თანდათანობითი შემცირება. მკურნალობის 47 დღის შემდეგ ინსულინის ინექცია მოეხსნა. ავადმყოფი მკურნალობას იტარებს მხოლოდ აღნიშნული ხერხით სამი წლის განმავლობაში. ამ პერიოდის მანძილზე გლუკოზის დონე სისხლში მერყეობს 90-110 მგ%-ის ფარგლებში.

მაგ. 3. ავადმყ. ე.ს., დიაგნოზი: შაქრიანი დიაბეტი. გლუკოზა სისხლში – 320 მგ%. უკეთდებოდა ინსულინის ინექციები დოზით 90 ერთ.დღეში. დაეწყო მკურნალობა ექიმის მეთვალყურეობით ჩვენს მიერ შემოთავაზებული ხერხით. მკურნალობის განმავლობაში ხდებოდა ინსულინის დოზის თანდათანობითი შემცირება. მკურნალობის 57 დღის შემდეგ ინსულინის ინექცია მოეხსნა. ავადმყოფი მკურნალობას იტარებს მხოლოდ აღნიშნული ხერხით 3 წელი და 10 თვე. ამ პერიოდის მანძილზე გლუკოზის დონე სისხლში მერყეობს 95-120 მგ%-ის ფარგლებში.

ამრიგად, ჩვენს მიერ შემოთავაზებული ხერხი უზრუნველყოფს სისხლში გლუკოზის დონის მნიშვნელოვან და მყარ სტაბილიზაციას, ტექნიკურად ადვილი შესასრულებელია და არ იწვევს გართულებებს. გარდა ამისა, იგი შაქრიანი დიაბეტით დაავადებული ავადმყოფებისათვის ინსულინის ინექციების

GE 1688 B

მოსხნის საშუალებას იძლევა, რასაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ავადმყოფების როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მდგომარეობის თვალსაზრისით.

გამოგონების ფორმულა

შაქრიანი დიაბეტის მკურნალობის ხერხი, რომელიც ითვალისწინებს კუჭქვეშა ჯირკვლის მერიდიანის აქტიური წერტილების მასაჟს, განსხვავდება იმით, რომ ერთ-ერთ წერტილში, მასაჟთან ერთად, 2-3 წუთის განმავლობაში შეიზიდება ფუტკრის შხამის 0,0007-0,0013% ზეთიანი ხსნარი.